სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080161584967223

№ 202 24 / იანვარი / 2023 წ.

შპს „უნივერსალ ჯორჯია 2008“-ის თეთრ სიაში დარეგისტრირების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2023 წლის 20 იანვარს წარმოდგენილ იქნა შპს „უნივერსალ ჯორჯია 2008“-ის (ს/ნ: 248056516) 2023 წლის 19 და 20 იანვრის № 23/04 და № 23/05 მომართვა და დაზუსტებული მომართვა (რეგისტრაციის №526, რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში დარეგისტრირება.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის მომართვა და დაზუსტებული მომართვა თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 მუხლით და დაადგინა:

1. შპს „უნივერსალ ჯორჯია 2008“ (ს/ნ: 248056516) 2023 წლის 25 იანვარს დარეგისტრირდეს თეთრ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად ლევან რაზმაძე